საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/61 " 27 " ივნისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ლ. ნუცუბიძის სენაკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2022 წლის 25 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა საკითხი ზოგიერთ რაიონულ სასამართლოში, მათ შორის სენაკის რაიონულ სასამართლოში, თავმჯდომარეთა დანიშვნის შესახებ. სენაკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანსიაზე მიღებულ იქნა ამავე სასამართლოს მოსამართლის ლევან ნუცუბიძის განცხადება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთაგან, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - მათ შორის, სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთაგან, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს. 2022 წლის 27 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაიმართა კონსულტაცია სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დარეჯან კვარაცხელიასთან. მოსამართლემ მხარი დაუჭირა ლევან ნუცუბიძის კანდიდატურას და აღნიშნა, რომ იგი არის კარგი მენეჯერი, რაც სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წინა ვადის პერიოდში მისი მუშაობით დასტურდება. ლევან ნუცუბიძეს აქვს სხვადასხვა სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, მათ შორის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებული საკითხი - სენაკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ ლევან ნუცუბიძის დანიშვნის შესახებ, მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრთა მიერ ერთხმად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დ. კვარაცხელიას პოზიციის გათვალისწინებით, 2022 წლის 8 ივლისიდან:

1. სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლევან ნუცუბიძე დაინიშნოს სენაკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ, 5 წლის ვადით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლ. ნუცუბიძისათვის სენაკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 2 ივნისის №1/45 განკარგულება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე